საქართველოს მთავრობის განკარგულება

№99 2018 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარების თაობაზე წინადადებათა წარმოდგენის შესახებ განაცხადთა მიღებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“, „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს „თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარების თაობაზე წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის პირობების მოწონების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის უფლებამოსილების მინიჭებისა და თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების განვითარების შესახებ შემოსულ განაცხადთა განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ნოემბრის №2417 განკარგულებით მოწონებულ წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოთხოვნის პირობებში შესატანი ცვლილება და წინადადებათა წარმოდგენის შესახებ განაცხადთა მიღების ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2018 წლის 29 იანვრის 14:00 საათისა.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს ამ განკარგულების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**